



# საქართველო

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

14 თებერვალი 2012 წელი

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 39

#### ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ლ“, „ს“ და მე-10<sup>1</sup> (პრიმა) მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტების, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გამარტივებული შესყიდვის დაუყოვნებლივ განხორციელების და გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> (პრიმა) მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოახდინოს 2012 წლის თებერვლის თვეში ქ. თბილისში წვევამდელთა გადასაყვანად სატრანსპორტო მომსახურების გამარტივებული შესყიდვა, ღირებულებით 450 (ოთხასორმოცდაათი) ლარი.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი